

ვილჰელმ ფონ ფრეიგანგი (1783-1849), წერილები კავკასიის და საქართველოს შესახებ

Freygangs. *Lettres sur le Caucase et la Géorgie, suivies d'une relation d'un voyage en Perse, en 1812.* Hambourg: Chez Treutter & Wurtz, 1816

Les Karavanserais sont encore d'autres boutiques sous de grandes voutes, pratiqués tout autour de cours très spacieuses, où l'on parvient par le Bazar. C'est là que les marchands persans, turcs (114) et arméniens ont leurs dépôts de marchandises, et où ils étalent leurs schawls, des étoffes de Perse, leurs draps-d'or, leurs diamans, turquoises, perles &c. Le coup-d'oeil est assez beau, surtout pour les amateurs de schawls; à les voir étalés en si grande quantité, on a lieu d'être étonné des prix élevés qu'on en demande.

ქარვასლა არის დიდი თაღების ქვეშ მდებარე დუქნები, რომლებიც განლაგებულია ვრცელი ეზოების გარშემო, სადაც ბაზრიდან შეიძლება შესვლა. სპარსელი, თურქი და სომეხი ვაჭრების საწყობები ქარვასლაშია განთავსებული და მათ იქვე აქვთ გამოფენილი შალები, სპარსული ქსოვილები, ოქრომკედი, ალმასები, ფირუზები, მარგალიტები და სხვ. ძალიან ლამაზი სანახავია, განსაკუთრებით შალების მოყვარულთათვის; ისინი იმდენად დიდი რაოდენობითაა, რომ გაკვირვებს მათი სიძვირე.

Il est curieux de voir tous ces Orientaux, assis les jambes croisées, fumant tranquillement le kalioun en attendant pratique. Puis, lorsqu'elle se présente, sortir de leur état presque'apathique pour déployer l'éloquence la plus active.

საინტერესოა ამ ფეხმორთხმული აღმოსავლელი ადამიანების დანახვა, რომლებიც მყიდველის მოლოდინში მშვიდად ეწევან თავიანთ ყალიონებს, მათი მოსვლისას კი გამოდიან თითქმის აპათიური მდგომარეობიდან და დიდ მჭევრმეტყველებას იჩენენ.

Du tems du Czar Héraclius Tiflie comptoit 4000 maisons et 20,000 habitans. Aujourd'hui que tant d'édifices sont tombés en ruine, et que la peste, qui vient d'y faire de grands ravages, a causé la désertion de tant d'habitans, je n'ai pu encore savoir au juste ni le nombre des maisons, ni celui des habitans, qui commencent cependant à regagner leurs foyers. (107)

ერეკლე მეფის მმართველობის დროს ტფილისში 4,000 სახლი და 20,000 მოსახლე იყო. დღეს, – როდესაც ამდენი შენობა დაინგრა, შავმა ჭირმაც ბევრი ხალხი შეიწირა, რაც მცხოვრებლების ქალაქიდან გასვლის მიზეზი გახდა, არც სახლების და არც ამ მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა ვიცი, რომელიც ბოლო დროს უბრუნდება თავის კერას.

La langue Persane est très en vogue en Géorgie; surtout parmi les Seigneurs, et il est du bon ton de la connoître, comme d'imiter les usages Persans (110).

სპარსული ენა ძალიან პოპულარულია საქართველოში; განსაკუთრებით წარჩინებულებს შორის და მოდურია მისი ცოდნა, აგრეთვე სპარსული წეს-ჩვეულებების მიბაძვა.

Djefar-Kouli-Khân a invité l'autre jour l'épouse de Mr. le Gouverneur Général à diner; j'ai été de la partie. Il eut la galanterie de nous faire servir des assiettes, des couteaux et des fourchettes; lui (144) même s'en passait et mangeait à la Persane. Un pain aplati aussi grand que la table sur laquelle il était posé, nous tenait lieu de nappe et de serviettes. Un pareil pain de moindre grandeur lui servoit d'assiette et de serviette. (145)

ამ დღეებში ჯაფარ-ყოლი ხანმა სადილად მიიწვია ბატონი გენერალ-გუბერნატორის მეუღლე¹; მეც იქ ვიყავი. ხანი იმდენად გალანტური იყო, რომ ჩვენთვის თევზები და დანა-ჩანგალი მოატანინა, თვითონ კი სპარსულ ყაიდაზე მიირთმევდა. სუფრისა და ხელსახოცის მაგივრად ჩვენ მაგიდის ზომის ბრტყელი პური დაგვიდეს. მას კი თევზისა და ხელსახოცის მაგივრობას ასეთივე, მაგრამ უფრო პატარა, პური უწევდა.

Le Khân, pour n'être pas galant à demi, était assis comme nous, sur une chaise; tandis que les Persans ne connoissent ni table, ni chaise, et sont toujours assis sur le plancher, où un tapis est étalé, et leurs plats leur sont servis sur de grands plateaux, qu'on pose devant eux. Assis, ils savent singulièrement plier leurs jambes, et les cacher. Il faut être accoutumé à cette posture, pour pouvoir s'y maintenir quelque tems (147).

ნახევრად გალანტური რომ არ ყოფილიყო, ხანი ჩვენსავით სკამზე იჯდა, თუმცა სპარსელებს არ აქვთ არც მაგიდა, არც სკამი და მუდამ იატაკზე სხედან, რომელზეც ხალიჩაა დაფენილი; კერძებს დიდი სინებით მიართმევენ, რომლებსაც წინ უდგამენ. დაჯდომისას ფეხს ისე განსაკუთრებით ხრიან, რომ დაიმალოს. უნდა შეეჩვიოთ ამ პოზას, გარკვეული დროის განმავლობაში ასე გაჩერება რომ შეძლოთ.

Après diner parut le kalioun, auquel le Khan fuma d'abord, et qu'il donna ensuite à celui, qu'il distinguait le plus, mais toujours avec le même tuyau. (148)

სადილის შემდეგ ყალიონიც გამოჩნდა, რომელსაც ხანი მანამდეც ეწეოდა და შემდეგ, ყალიონის მილის გამოუცვლელად, ის იმას გადასცა, ვისაც სხვებისგან გამოარჩევდა.

Les Persans ont encore une manière assez singulière d'honorer leurs convives; mais elle est si peu appétissante, que je me fais peine de Vous la rapporter. Ils prennent quelquefois pendant leurs repas un morceau friand, c'est à dire bien gras, le gardent quelque tems dans la main, le pétrissent, et le mettent

¹ იგულისხმება გენერალ პაულუჩის მეუღლე, ვილჰელმინა-ფრანცისკა (1778-1824), კურლანდიელი გრაფის, იოსებ-ვილჰელმ ფონ კოკსულის ქალიშვილი.

dans la bouche de celui, qu'ils veulent distinguer. Heureusement notre Khan ne s'avisait point de cette politesse. (148)

სპარსელებს სტუმრების პატივისცემის განსაკუთრებული წესი აქვთ; მაგრამ ის იმდენად უსიამოვნოა, რომ მიჭირს თქვენთვის ამის მოყოლა. ჭამის დროს ისინი გემრიელ ლუკმას, რა თქმა უნდა მეტად ცხიმოვან ნაჭერს იღებენ, რამდენიმე ხანი ხელში სრესენ და იმას უდებენ პირში, ვისი გამორჩევაც სურთ. საბედნიეროდ, ხანს ჩვენ მიმართ ასეთი თავაზიანობა არ გამოუჩენია.

Le bal qu'il nous donna, fut plus amusant que brillant. Il dansa quelques polonoises, et assez bien pour un Persan. (148)

მის მიერ გამართული მეჯლისი უფრო მხიარული იყო, ვიდრე ბრწყინვალე. მან პოლონეზიც კი იცეკვა და საკმაოდ კარგადაც სპარსელის კვალობაზე.

Le Khan, par son apparition à Tiflis avec sa nombreuse suite, nous a donné un exemple des mœurs de la Perse (148).

ტფილისში თავისი მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით გამოჩენით ხანმა სპარსეთის ადათ-წესების მაგალითი გვაჩვენა.

En quittant notre ville, il nous donna un nouveau spectacle Persan. Il étoit accompagné de quantité de cavaliers de sa nation, qui faisoient différents tours d'adresse sur leurs excellens coursiers; ils se dévançoient, brisoient des lances l'un contre l'autre, tiroient des coups du fusil et de pistolet en arrière dans le plus fort de leur course. (149)

ქალაქიდან გასვლისას მან ჭეშმარიტი სპარსული სანახაობა მოგვიწყო. მას ახლდა თავისი ეროვნების რამდენიმე ცხენოსანი, რომლებიც თავიანთ შესანიშნავ ბედაურებზე სხვადასხვა ილეთებს ასრულებდნენ; ისინი ერთმანეთს ასწრებდნენ, შუბებს უმტვრევდნენ და სწრაფი ჭენების დროს თოფებს და პისტოლეტებს ისროდნენ.

Lorsque le Khân fut à une certaine distance de Tiflis, il descendit de cheval, et se mit dans un *Tachtaravan*. Cet équipage, très commode, est formé d'une caisse ou maisonnette avec des fenêtres, portée par deux mulets, l'un devant, l'autre derrière. Cette voiture m'a, rappelé les chaises à porteurs de notre chère Vienne. (149)

როდესაც ხანი გარკვეული მანძილით გასცდა ს, ჩამოქვეითდა და ტახტრევანში გადაჯდა. ეს არის მეტად მოხერხებული ეკიპაჟი, ფანჯრებიანი პატარა ყუთი თუ სახლი, რომელიც ორ ჯორს მიაქვს, ერთს წინ, მეორეს უკან. ის მახსენებს გადასატან კაბინას ჩვენს საყვარელ ვენაში.

J'ai assisté ces jours-ci à une noce, et j'ai vu ce matin un enterrement. Voici les usages des Géorgiens dans de pareilles occasions (167).

ამ დღეებში ქორწილში ვიყავი, ამ დილით კი დასაფლავებაზე. აი როგორია ასეთ შემთხვევებში ქართველების ადათ-წესები.

On se marie ici très jeune; souvent la nouvelle mariée n'a que 12 ans, et le mari 15. Quelquefois on est promis dès le berceau, mais la plupart du tems on ne se connoit point. De fondation, il est défendu au promis de voir sa promise avant le jour de mariage. Les fiançailles se font à l'église, et la cérémonie est conforme à celle du rite grec, à l'exception que la fiancée est couverte d'un voile, qui ne permet pas même au futur époux de connoitre les traits de la femme, qu'on lui donne; car le mariage est ici plus une affaire de spéculation, qu'une affaire de coeur. Au sortir de l'église ce même jour des fiançailles on a coutume de tirer des coups de fusil en l'honneur des jeunes promis. (168)

აქ ძალიან ახალგაზრდები ქორწინდებიან; ხშირად პატარძალი მხოლოდ 12, საქმრო კი 15 წლისაა. ზოგჯერ მათ აკვანშივე ნიშნავენ, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ისინი ერთმანეთს არც კი იცნობენ. საცოლის ქორწინებამდე ნახვა თავიდანვე იკრძალება. ნიშნობა ეკლესიაში მიმდინარეობს, ცერემონია შეესაბამება ბერძნულ წესს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საცოლეს ვუალი ფარავს, რაც მომავალ ქმარს იმ ქალის სახის ნაკვთების დანახვის საშუალებასაც კი არ აძლევს, რომელსაც ცოლად რთავენ, რადგან აქ ეს ქორწინება უფრო საქმიანი გარიგებაა, ვიდრე სიყვარულის შედეგი. ნიშნობის დღეს ეკლესიიდან დანიშნულების გამოსვლის დროს წესადაა მათ პატივსაცემად თოფის სროლა.

Le jour du mariage, l'épouse couverte d'un voile qui descend jusqu'aux pieds, surchargée de bijoux et d'ornemens, est placée sur un tapis, assise comme de coutume, les pieds pliés et croisés sous le corps. Pour compléter sa ressemblance avec les pagodes de l'Inde, ce simulacre de femme et d'épouse, reste un jour entier dans la même position, sans manger et sans boire, et qui plus est, sans proférer une parole. Il semble vraiment qu'en Géorgie la mariage était placé dans la cathégorie de ces associations, auxquelles on ne peut être admis, qu'après les plus grandes épreuves (168).

ქორწილის დღეს, წესის მიხედვით, თავიდან ფეხებამდე ვუალში გახვეული, სამკაულებითა და მორთულობით გადატვირთული პატარძალი ხალიჩაზე ზის ფეხებშეკეცილი. ინდურ პაგოდებთან² მისი მსგავსების დასასრულებლად, ქალისა და ცოლის ეს სიმულაკრი³ უსმელ-უჭმელი და მდუმარე მთელი დღე ამ პოზაშია. ისე ჩანს, რომ საქართველოში ქორწინება იმ კავშირების კატეგორიაშია მოხვედრილი, რომლებშიც შესვლა მხოლოდ უდიდესი განსაცდელის შემდეგ შეიძლება.

² პაგოდა – განძეულის კოშკი, ბუდისტური საკულტო და მემორიალური ნაგებობა ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში და სხვ., წარმოადგენს კოშკს, ხშირად მრავალიარუსიანს. ტექსტში „ინდურ პაგოდასთან“ პატარძლის მსგავსება მისი ზედმეტად ბევრი სამკაულისა და სამოსის ხაზგასასმელად არის მოხმობილი.

³ სიმულაკრუმი (ლათ. Simulacrum) – ნიშანი, რომელსაც სინამდვილეში არ აქვს ნიშანდებული ობიექტი.

Ce qui doit un peu consoler la pénitente, c'est que le fiancé est soumis aux mêmes cérémonies introduit dans la maison, il se place à côté de sa belle inconnue, garde la même position, et aussi longtemps observe le silence. S'ils se tournaient, quelque peu le dos, cela ressemblerait tout à fait à une longue bouderie. Mais dans la position soumise qu'ils prennent et qu'ils gardent, ils semblent plutôt se dire réciproquement: «On nous marie; ne m'en veuillez pas; ce n'est pas ma faute?» (169)

ის, რამაც შეიძლება ანუგეშოს ქალი, ის არის, რომ მასთან მისვლისას საქმროც იმავე ცერემონიას ექვემდებარება. თავისი მშვენიერი უცნობის გვერდით, მდუმარე, ისიც ასეთივე პოზაში ზის. თუ ოდნავ შეაბრუნებენ ზურგებს, დამდურებულებს ემსგავსებიან და ამ მორჩილ მდგომარეობაში მყოფნი ერთმანეთს თითქოს ეუბნებიან: „ჩვენ გვაქორწინებენ; ნუ გამიბრაზდებით; ჩემი ბრალი ხომ არ არის“?

A la fin des noces on ôte le voile de la mariée, et souvent ce n'est qu'alors que l'époux peut juger de ses traits. Un repas plus ou moins somptueux finit la fête. (169)

ქორწილის დასასრულს პატარძალს ვუალს ახდიან და ხშირად ქმარს მხოლოდ მაშინ შეუძლია ცოლის ნაკვთების შეფასება. დღესასწაული მეტ-ნაკლებად დიდებული ნადიმით მთავრდება.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)